ფრაქციული მუშაობა

მე-6 მოწვევის საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 26 წევრისგან შედგება. იგი საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება საჯაროობის, დამოუკიდებლობისა და თანასწორობის პრინციპებს.

ფრაქციის წესდების გათვალისწინებით, ფრაქციის სხდომა იკრიბება თვეში მინიმუმ ერთხელ.

სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება პოზიცია და რეკომენდაციები, რომელიც, შემდგომში საკრებულოს სხდომაზე, ერთიან, შეჯერებულ პოზიციაში გამოიხატება.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, ფრაქციის ფორმატში კოორდინირებულად ვთანამშრომლობთ თბილისის მერთან და დედაქალაქის მთავრობის წევრებთან.

საანგარიშო წლის პერიოდში (სექტემბრის თვის ჩათვლით), ფრაქციას ჩატარებული აქვს **16** სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა **25** საკითხი.

2020 ნოემბერი - 2021 სექტემბერი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სხდომებზე განხილული საკითხები თარიღების მიხედვით

16. 11. 2020	1.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი
12.14.2020	1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის არჩევა 2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილის არჩევა 3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად საკრებულოსთვის თინათინ ნიბლოშვილის

	კანდიდატურა წარადგინდა 4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად საკრებულოსთვის ლევან არველაძის კანდიდატურის წარდგენა. 5. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად საკრებულსოთვის მიხეილ ამაშუკელის კანდიდატურის წარდგენა 6. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად საკრებულოსთვისლევან ლევან ჯაფარიძის კანდიდატურის წარდგენა 7. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად საკრებულოსთვის შალვა ოგბაიძის კანდიდატურის წარდგენა.
21,12,2020	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.
23.12.2020	1. მიხეილ მესხისა და ბორია ფიცხელაურის ფრაქციის წევრებად მიღების შესახებ. 2. ქ. თბლისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა
29.12.2020	1. ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო'' წევრად დავით უთმელიძის მიღება 2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სახდომაზე განხილულ საკითხებზე ფრაქციათა პოზიციების შეჯერება
01.28.2021	1.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი.
02.18.2021	1. მიხეილ მესხისა და ბორია ფიცხელაურის ფრაქციის წევრებად მიღების შესახებ 2. ქ. თბლისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა

03.01.2021	1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხილვა გარემოს დაცვის სფეროში.
03.29.20201	1. შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხილვა.
04.02.2021	1. ვაშლიჯვრის ფერდობზე განვითარებული მეწყერული პროცესების შესახებ.
05.17.2021	1. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხილვის შესახებ.
06.14.2021	1. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ ანგარიშის მოსმენა.
06.22.2021	1. „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის, ე.წ. სამშენებლო ამნისტიის განხილვა.
07.23.2021	1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ ანგარიშის მოსმენა
08.11.2021	1. 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოსა და საარჩევნო კამპანიის მიმოხილვა.
09.06.2021	1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის სხდომაზე განხილულ საკითხებზე პოზიციების შეჯერება

საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

2020 წლის 1 ნოებრიდან 2021 წლის სექტემბრის ჩათვლით, დავესწარი საკრებულოს 20 სხდომას. საანგარიშო პერიოდში, სულ მოწვეულ იქნა 22 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 111 დადგენილება და 547 განკარგულება. (განხილული საკითხებისა და დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.sakrebulo.gov.ge

- კანონის შესაბამისად, გახლავართ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიების წევრი. აქტიურად ვარ ჩართული მათ მუშაობასა და საქმიანობაში.

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია

საანგრიშო წლის პერიოდში სულ ჩატარდა 14 სხდომა, სადაც განვიხილეთ 22 საკითხი

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის სექტემბერის ჩათვლით, ჩატარდა 24 სხდომა. დავესწარი 18 სხდომას და განვიხილე 229 საკითხი

მაჟორიტარის აქტივობები

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი წევრის ოთარ გრიგოლიას წარმომადგენლობის 2020-2021 წ. ანგარიში.

2020 წლის სექტემბრიდან - 2021 წლის აგვისტოს ჩათვლით, მაჟორიტარის წარმომადგენლობამ მიიღო 430 მოქალაქე, ხოლო სატელეფონო კონსულტაცია გაეწია 300 პირს. მაჟორიტარის მიერ სხვადასხვა მიმართულებით, შუამდგომლობა გაეწია 200 მოქალაქეს. რაიონში მიმდინარე პროექტების განხორციელების მონიტორინგის პერიოდში, ჩემს წარმომადგენლობაში დასაქმებულ პირებთან ერთად, სამუშაოების განხორციელების ადგილზე შევხვდი 500-მდე პირს.

150 შუამდგომლობა განხორციელდა შემდეგ მიმართულებებზე:

- ერთჯერადი მატერიალური დახმარება;
- მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- ჯანმრთელობის გამოკვლევა;
- სამედიცინო ოპერაცია
- ინფრასტრუქტურა+ბმა

ინფრასტრუქტურა :

გლდანის პირველი მიკრორაიონის N10 და N11 საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ, დაახლოებით 2 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე სპორტული მოედნი და საზოგადოებრივი სივრცე მოეწყო. აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ძველი სპორტული მოედანი წლების განმავლობაში, კერძო საკუთრებაში იყო, რის გამოც მისი რეაბილიტაცია ვერ ხერხდებოდა. ადგილმონაცვლეობის შედეგად, ტერიტორია მუნიციპალიტეტს გადმოეცა.

მე-7 მკრ. მიმდებარე ტერიტორიაზე ფეხბურთის ფედერაციას გადაეცა მუნიციპალური სივრცე, სადაც გაშენდა ფიფას სტანდარტების საფეხბურთო კომპლექსი.

მე-7 მიკრორაიონში, მე-19 კორპუსის მიმდებარედ, "ბროწეულის" სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს - აღნიშნულ მისამართზე დაახლოებით, 10 000 კვ. მ. ფართობი რეაბილიტირდება, პროექტის ღირებულება შეადგენს 1 200 000 ლარს. სივრცე მრავალფუნქციურია და ყველა ასაკის ადამიანისთვის საინტერესო იქნება. განთავსდება ბავშვთა გასართობი ზონები, მოსასვენებელი პავილიონები, კალათბურთისა და ფეხბურთის მოედანი, ველობილიკი და სკეიდბორდის მოედანი, ღია სივრცის მაგიდის ჩოგბურთი, ფიტნეს ზონა, მოეწყობა ძაღლების სივრცე. დამონტაჟდება გარეგანათებისა და სარწყავი სისტემები. სკვერში განთავსდება სასმელი წყლის სოკოები და საპარკე ინფრასტრუქტურა. ტერიტორია გამწვანდება. სკვერში, ასევე, უსაფრთხოების კამერები დამონტაჟდება.

გიორგიწმინდის დასახლებაში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მოეწყო წყალარინების ქსელი და დაიგო ასფალტის საფარი, რომელიც აქამდე არ არსებობდა. აღნიშნულ მონაკვეთზე

წყალარინების ქსელი სრულად მოწესრიგდა. ახლა კი, დაახლოებით, 2 100 კვადრატულ მეტრ ფართობზე, ასფალტის საფარი დაიგო.

მე-7 მიკრორაიონში ჭაბიძის ქუჩაზე 1000 კვ. მეტრზე საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა მიმდინარეობს. სამუშაოების შედეგად, მოეწყობა ბავშვთა გასართობი და დასასვენებელი ზონები. მოსასვენებელი პავილიონები. დამონტაჟდება გარე განათებისა და სარწყავი სისტემები, ასევე, სასმელი წყლის სოკო. განხორციელდება გამწვანების სამუშაოები - დაირგვება ხეები და დაითესება ბალახი.

მე-3/მე-5 მკრ. გამყოფი გზის ნ. კეცხოველის ქუჩის სანიაღვრე ქსელის და გზის საფარის სრული რეაბილიტაცია, მთლიანად შეიცვალა წყლისა და წყალარინების ქსელები, ასევე, მოეწყო სანიაღვრე სისტემა. პროექტის ფარგლებში მოეწყო თანამედროვე გარეგანათების ქსელი, ხოლო ელექტროსადენები მიწის ქვეშ განთავსდა. გარდა ამისა, დასრულებულია ტროტუარისა და ბორდიურის მოწყობა და 5500 კვადრატულ მეტრ ფართობზე ასფალტის საფარის ზედა ფენა იგება.

მე-7 მკრ. მე-4 კორ. შიდა ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდებარედ დაახლოებით, 1 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე ასფალტის საფარი დაიგო და მოეწყო ბორდიური.

მე-3ა მკრ. 21 კორ. მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის და გზის საფარის სრული რეაბილიტაცია. პროექტის მიხედვით, 1 160 კვ.მ. ფართობზე ასფალტი დაიგო.

1 მიკრორაიონში 14 კორ. მიმდებარედ სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია, მოეწყო საბავშვო სივრცე-ატრაქციონი და დაირგო ახალი ნარგავები, სკვერის მიმდებარედ გაუკეთდა რეაბილიტაცია სპორტულ მოედანს.